სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

საბაკალავრო პროგრამა

Bachelor's program

# ტურიზმი

# Tourism

თბილისი

2025

## პროგრამის აღწერილობა

| | |
|---|---|
| **პროგრამის დასახელება (ქართულად და ინგლისურად)** | **ტურიზმი**<br>**Tourism** |
| **მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად)** | **ბიზნეს ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში**<br>**Bachelor of Bisiness administration in turizm** |
| **დეტალური სფეროს დასახელება და კოდი** | 1015 მოგზაურობა, ტურიზმი და დასვენება |
| **პროგრამის მოცულობა კრედიტებით და მათი განაწილება** | **240 კრედიტი:**<br>**თავისუფალი კომპონენტის სასწავლო კურსები - 60 კრედიტი**<br>(მათ შორის სავალდებულო - 50 კრედიტი, არჩევითი - 10 კრედიტი)<br><br>**ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსები - 120 კრედიტი, მათ შორის:**<br>ა) ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კურსები- 105 კრედიტი<br>ბ) ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები - 15 კრედიტი<br><br>**დამატებითი პროგრამა - 60 კრედიტი**[1] |
| **სწავლების ენა** | ქართული |
| **პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები /კოორდინატორი** | **ხელმძღვანელები:**<br>**ნანა კაციტაძე** **იოსებ ხელაშვილი** |
| **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა** | **საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს:**<br><br>- სრული ზოგადი განათლების მქონე პირი, რომელმაც წარმატებით ჩააბარა ერთიანი ეროვნული გამოცდები;<br>- ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში დასაშვებია:<br>ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება;<br>ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;<br>გ) პირებისათვის, რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის |

[1] *სტუდენტს შესაძლებლობა აქვს დამატებითი პროგრამის შესრულების ნაცვლად 60 კრედიტი შეავსოს დამატებით თავისუფალი კომპონენტის არჩევითი კურსებით.*

| | |
|---|---|
| | კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.<br>– ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბაკალავრიატის სტუდენტი გარე ან შიდა მობილობის გზით. |
| **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი** | **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია:** ტურიზმის სფეროში მმართველობითი საქმიანობის საფუძვლიანი თეორიული ცოდნის მქონე კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება დარგში მრავალმხრივი მიმართულებით დასაქმებისათვის, ტურიზმის სფეროსათვის საჭირო თანამედროვე პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება მართვის, ოპერაციების, სერვისებისა და პროდუქტების მიმართულებით პროფესიული პასუხისმგებლობით, ასევე, ავტონომიურობის ფორმირება და კარიერული წინსვლისათვის მომზადება.<br><br>ტურიზმის საბაკალავრო პროგრამით სპეციალისტთა მომზადების აქტუალურობა განპირობებულია დარგის სტაბილური ზრდით, მისი მნიშვნელობით დასაქმებაში, ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში და ინვესტიციების მოზიდვაში. ამ პროცესის შემდგომი რაციონალური და მდგრადი განვითარებისთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მენეჯერული ცოდნისა და უნარების მატარებელი კადრების მომზადება.<br><br>ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის მიზანი შეესაბამება ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას, რომელიც ითვალისწინებს ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა დამკვიდრებისა და საზოგადოების ინტელექტუალური, ზნეობრივი, კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას; ახალი ცოდნის შექმნას, შენახვასა და გავრცელებას; კვლევებითა და ინოვაციებით საუნივერსიტეტო ტრადიციების განვითარებას; სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებას და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას; მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის ხელშეწყობას; თავისუფალი სამყაროს ღირსეულ წევრობას.<br><br>ტურიზმის დამატებითი სპეციალობის პროგრამის მიზანია: გააცნოს სტუდენტებს ტურიზმსა და მასპინძლობაში ბიზნესის ფუნქციონირების ძირითადი პრინციპები და გამოუმუშაოს მათ დარგში მიმდინარე პროცესების ანალიზისა და გადაწყვეტილებების მიღების უნარები, რაც ხელს შეუწყობს მათ კონკურენტუნარიანობის ზრდას შრომის ბაზარზე. |
| **სწავლის შედეგები** | საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებული:<br><br>**ცოდნა და გაცნობიერება**<br>• **აღწერს** ტურიზმისა და მასთან დაკავშირებულ სფეროების მართვის კლასიკურ და თანამედროვე თეორიებს, კონცეფციებს, პრინციპებს, მდგრადი განვითარების საფუძვლებს;<br>• **საფუძვლიანად ხსნის** ტურიზმსა და მასთან დაკავშირებულ სფეროებში ბიზნესის პროცესებისათვის დამახასიათებელ |

| | |
|---|---|
| | თავისებურებებს  და მის გარე გარემოსთან ურთიერთკავშირს კრიტიკული გააზრებით და ცოდნის უახლესი ასპექტების გათვალისწინებით;<br>• **განიხილავს** ტურისტული მომსახურების პროდუქტის დაგეგმვასთან, განხორციელებასა და მართვასთან დაკავშირებულ საკითხებს  სტანდარტულ და კრიზისულ ვითარებებში.<br>**უნარი**<br>• **ახდენს** ტურისტული  რესურსების იდენტიფიცირებას, შეფასებას და მათი  გონივრულად გამოყენების ცოდნის დემონსტრირებას მდგრადი განვითარების მიდგომების გათვალისწინებით;<br>• **იყენებს** სასტუმროების, ტურისტული კომპანიების, და ტურისტული ორგანიზაციების მართვის თანამედროვე ტექნოლოგიებს და მეთოდებს;<br>• **ახდენს** ტურიზმისა და მასპინძლობის ბიზნესთან დაკავშირებულ ორგანიზაციული პროცესების მართვის და კვლევების ჩატარების თეორიული და პრაქტიკული ცოდნის გამოყენების  დემონსტრირებას;<br>• **წარმოადგენს** ანგარიშებს, კვლევით პროექტებს და პრეზენტაციებს წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად, საკუთარი პოზიციის არგუმენტირებითა და დასაბუთებული დასკვნებით სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან ქართულ და უცხო ენებზე, თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით.<br>**პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა**<br>• **მსჯელობს** ტურიზმსა და მასპინძლობის სფეროს განვითარებაზე ორიენტირებულ  საქმიანობაზე გარემოს დაცვითი, პროფესიული და ეთიკური  ნორმებისა და პრინციპების დაცვით;<br>• **ადგენს** საკუთარი შემდგომი სწავლის საჭიროებებს, პროფესიული განვითარების დაგეგმვისა და განხორციელების გზებს. |
| **სავალდებულო არჩევითი მოდულების სწავლის შედეგები** | **საბაკალავრო პროგრამის არჩევითი მოდულის „ტურიზმის მენეჯმენტის“ კურსდამთავრებული:**<br><br>**ცოდნა და გაცნობიერება**<br>• **აღწერს** ტურიზმის ინდუსტრიის მიმართულებებს, მათი მომსახურების თავისებურებებს;<br>• **განიხილავს** ტურისტული მომსახურების დაგეგმვასთან, განხორციელებასა და მართვასთან დაკავშირებულ საკითხებს.<br>**უნარი**<br>• **ახდენს** ტურიზმის ინდუსტრიის საკვანძო მიმართულებების |

| | |
|---|---|
| | რესურსების შეფასებას და იდენტიფიცირებას მდგრადი განვითარების მიდგომების გათვალისწინებით;<br>• **იყენებს** მიღებულ ცოდნას,კონკურენტუნარიანი ტურისტული პროდუქტის დასაგეგმად და რეალიზაციისათვის;<br>• **მსჯელობს** წარმოშობილი პრობლემების გადაჭრის და სასურველი შედეგების მისაღწევად ტურიზმის დარგის სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან, ზეპირი და წერითი ფორმით.<br>**პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა**<br>• **წარმართავს** საქმიანობას ტურიზმის სფეროში აღიარებული პრინციპების, დამკვიდრებული ნორმებისა და პროფესიული ეთიკური სტანდარტების დაცვით.<br><br>**საბაკალავრო პროგრამის არჩევითი მოდულის „მასპინძლობის მენეჯმენტის“ კურსდამთავრებული**<br><br>**ცოდნა და გაცნობიერება**<br>• **აღწერს** საკურორტო კომპლექსებში მომსახურების თავისებურებებს , განვითარების ტენდენციებს და მასზე მოქმედ ფაქტორებს;<br>• **განიხილავს** მასპინძლობასა და საკურორტო ბიზნესის მომსახურების, მენეჯმენტის ფუნქციურ-ორგანიზაციულ თავისებურებებს.<br>**უნარი**<br>• **იყენებს** მასპინძლობის ბიზნესში მართვისა და ოპერირების თანამედროვე მეთოდებს და ტექნოლოგიებს;<br>• **ადგენს** სასტუმროს, რესტორნის და საკურორტო მომსახურებების მართვაში გამოწვევებს და მათი დაძლევის გზებს.<br>**პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა**<br>• **წარმართავს** მასპინძლობის სფეროს განვითარებაზე ორიენტირებულ საქმიანობას ეთიკური ნორმების დაცვითა და გარემოს მიმართ პასუხისმგებლობიანი დამოკიდებულებით;<br>• **ადგენს** საკუთარი შემდგომი სწავლის საჭიროებებს და პროფესიული განვითარების მიმართულებებს. |
| **სწავლის შედეგები (დამატებითი სპეციალობა)** | **ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის დამატებითი პროგრამის კურსდამთავრებული:**<br><br>**ცოდნა და გაცნობიერება**<br><br>• **აღწერს** ტურიზმსა და მასთან დაკავშირებული სფეროების არსს, მიმდინარე ტენდენციებს და მასზე მოქმედ ფაქტორებს სტანდარტულ და კრიზისულ ვითარებებში;<br>• **განიხილავს** ტურიზმისა და მასპინძლობის პროდუქტების დაგეგმვასთან, განხორციელებასა და რეალიზაციასთან |

| | |
|---|---|
| | დაკავშირებულ საკითხებს.<br>**უნარი**<br>• **ახდენს** ტურისტულო რესურსების იდენტიფიცირებას და შეფასებას მდგრადი განვითარების მიდგომების გათვალისწინებით;<br>• **იყენებს** ტურიზმის და მასპინძლობის სფეროსთან დაკავშირებულ მართვის თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას წარმოშობილი პრობლემების გადაჭრის და სასურველი შედეგების მისაღწევად;<br>• **წარმოადგენს** დასაბუთებულ დასკვნებს ტურიზმისა და მასთან დაკავშირებულ სფეროებში მართვასთან დაკავშირებულ საკითხებზე.<br>**პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა**<br>• **მსჯელობს** ტურიზმსა და მასპინძლობის სფეროს განვითარებაზე ორიენტირებულ საქმიანობაზე გარემოს დაცვითი, პროფესიული და ეთიკური ნორმებისა და პრინციპების დაცვით;<br>• **ადგენს** საკუთარი შემდგომი სწავლის საჭიროებებს და პროფესიული განვითარების მიმართულებებს |
| **სწავლა-სწავლების მეთოდები** | • ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი<br>• წერითი მუშაობის მეთოდი<br>• ჯგუფური მუშაობა<br>• დისკუსია/დებატები<br>• ახსნა–განმარტებითი მეთოდი<br>• თანამშრომლობითი სწავლება<br>• პროექტი/რეფერატი<br>• პრეზენტაცია<br>• დემონსტრირების მეთოდი<br>• გონებრივი იერიში<br>• შემთხვევის ანალიზი<br>• საექსპერტო შეფასებისა და სხვ. მეთოდი |
| **შეფასების სისტემა** | შეფასების სისტემა ითვალისწინებს:<br><br>(A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;<br>(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;<br>(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;<br>(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;<br>(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.<br><br>ორი სახის უარყოფითი შეფასება:<br>(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით<br>დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;<br>(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, |

| | |
|---|---|
| | რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი თავიდან აქვს შესასწავლი. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია დამატებითი გამოცდა დანიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.<br><br>შეფასების ფორმები შედგება შუალედური და დასკვნითი შეფასებებისაგან. შეფასებებში განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვრები და იგი ასახულია სასწავლო კურსების სილაბუსებში.<br><br>შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები განსაზღვრულია თითოეული კურსის სილაბუსში. |
| **დასაქმების სფეროები** | ტურიზმისა და მასპინძლობის სფეროში მოქმედი კერძო კომპანიები, სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციები, ასევე, ტურისტული დანიშნულების ადგილის საჯარო და კერძო თანამშრომლობის მენეჯმენტის ორგანიზაციები. |
| **სწავლის საფასური ქართველი და უცხოელი სტუდენტებისათვის** | სწავლების საფასური შეადგენს 2250 ლარს წელიწადში საქართველოს მოქალაქეებისათვის.<br>სწავლის საფასური უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის განისაზღვრება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, საქართველოს ხელისუფლების მიერ დადებული და რატიფიცირებული შეთანხმებების მიხედვით. |
| **პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი** | პროგრამა სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების შესაბამისად უზრუნველყოფილია მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალით, ასევე, მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით. სტუდენტთა განკარგულებაშია ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ტურიზმის სკოლის შენობა, ასევე თსუ X - მაღლივი კორპუსი და იქ არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და რესურსები, მათ შორის: ბიბლიოთეკები, საპრეზენტაციო პროექტორით აღჭურვილი აუდიტორიები, კომპიუტერული ლაბორატორიები, რესურს-ცენტრები, სტუდენტთა მომსახურების ცენტრი და სხვ. სტუდენტთათვის გათვალისწინებულია შესაბამისი რაოდენობით კომპიუტერული ტექნიკა. |
| **პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა** | პროგრამის ფინანსები უზრუნველყოფილია ფაკულტეტისა და პროგრამის ბიუჯეტით. |
| **დამატებითი ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში)** | |

## პროგრამის სტრუქტურა

ფაკულტეტი: ***ეკონომიკა და ბიზნესი***

ინსტიტუტი / დეპარტამენტი / კათედრა / მიმართულება: **ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის კათედრა**

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: ***ტურიზმი***

სწავლების საფეხური: ***ბაკალავრიატი***

მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ***ბიზნეს ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში (Bachelor of Bisiness administration in turizm)***

კრედიტების რაოდენობა: ***240 ECTS***

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელები: **ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის კათედრის ასოცირებული პროფესორი ნანა კაციტაძე; ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის კათედრის პროფესორი იოსებ ხელაშვილი**

აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი: ***თსუ აკადემიური საბჭოს 29 ივნისის 2011 წლის დადგენილება №57, დანართი 79*** ***https://tsu.ge/ka/legalakad/40134***

სასწავლო პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი): ***2011-2012***

**აკრედიტაციის მინიჭების თარიღი:** საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 14 ივლისი №885072 გადაწყვეტილება **https://eqe.ge/ka/deqars/1299/show**

| № | სასწავლო კურსის სახელწოდება | სტატუსი | ECTS | სტუდენტის საათობრივი დატვირთვა | | | | სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა | სწავლების სემესტრი | | | | | | | | ავტორი / ავტორები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | საკონტაქტო | | დამოუკიდებელი | სულ | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | |
| | | | | ლექცია | სემინარი/ პრაქტიკული | | | | | | | | | | | | |
| **თავისუფალი კომპონენტის სასწავლო კურსები: სულ 60 კრედიტი<br>მათ შორის სავალდებულო - 50 კრედიტი, არჩევითი - 10 კრედიტი** | | | | | | | | | **25** | **20** | **5** | **10** | | | **5** | | |
| **თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები: სულ - 50 კრედიტი** | | | | | | | | | **25** | **15** | **5** | **5** | | | | | |
| 1 | უცხო ენა 1 | სავალდებულო | 5 | 0 | 90 | 35 | 125 | წინაპირობის გარეშე | 5 | | | | | | | | თსუ ენების ცენტრის ლექტორები |
| 2 | უცხო ენა 2 | სავალდებულო | 5 | 0 | 90 | 35 | 125 | უცხო ენა 1 | | 5 | | | | | | | თსუ ენების ცენტრის ლექტორები |
| 3 | უცხო ენა 3 | სავალდებულო | 5 | 0 | 90 | 35 | 125 | უცხო ენა 2 | | | 5 | | | | | | თსუ ენების ცენტრის ლექტორები |
| 4 | უცხო ენა 4 | სავალდებულო | 5 | 0 | 90 | 35 | 125 | უცხო ენა 3 | | | | 5 | | | | | თსუ ენების ცენტრის ლექტორები |
| 5 | კალკულუსი ტურიზმისთვის | სავალდებულო | 5 | 30 | 30 | 65 | 125 | წინაპირობის გარეშე | 5 | | | | | | | | უ. გოგინავა |
| 6 | მსოფლიო ხელოვნების ისტორია | სავალდებულო | 5 | 30 | 15 | 80 | 125 | წინაპირობის გარეშე | 5 | | | | | | | | ი. მირიჯანაშვილი; თ. ჯალაღანია |
| 7 | საქართველოს საზოგადოებრივი გეოგრაფია | სავალდებულო | 5 | 30 | 30 | 65 | 125 | წინაპირობის გარეშე | 5 | | | | | | | | ი. იაშვილი |

| | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | სოციოლოგიის შესავალი | სავალდებულო | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | წინაპირობის გარეშე | 5 | | | | | | | | შ. თურქიაშვილი |
| 9 | ეკონომიკის პრინციპები | სავალდებულო | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | წინაპირობის გარეშე | | 5 | | | | | | | ე. მექვაბიშვილი |
| 10 | ინფორმატიკა ეკონომიკასა და ბიზნესში | სავალდებულო | 5 | 0 | 45 | 80 | 125 | წინაპირობის გარეშე | | 5 | | | | | | | დ. სიჭინავა;<br>რ. სეთურიძე;<br>თ. მელქოშვილი;<br>თ. მუნჯიშვილი;<br>მ. ტიკიშვილი |
| **თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსები: სულ 10 კრედიტი**<br><br>***სტუდენტს შეუძლია აირჩიოს სხვადასხვა ფაკულტეტიდან ნებისმიერი სასწავლო კურსი, მათ შორის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის შემდეგი ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი არჩევითი კურსები*** | | | | | | | | | | | | **5** | | | **5** | | |
| 1 | მარკეტინგული კვლევის პრინციპები | არჩევითი | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | მარკეტინგის საფუძვლები | | | | 5 | | | | | ე. უროტაძე |
| 2 | საერთაშორისო მარკეტინგი | არჩევითი | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | მარკეტინგის საფუძვლები | | | | 5 | | | | | ნ. თოდუა |
| 3 | საერთაშორისო ბიზნესი | არჩევითი | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები | | | | 5 | | | | | თ. შენგელია;<br>უ. სამადაშვილი;<br>ხ. ბერიშვილი |
| 4 | აკადემიური წერა | არჩევითი | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | წინაპირობის გარეშე | | | | 5 | | | | | გ. შაბაშვილი |
| 5 | ოპერაციათა მენეჯმენტი | არჩევითი | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | მენეჯმენტის საფუძვლები | | | | 5 | | | | | ე. ჩოხელი;<br>ბ. რამიშვილი |
| 6 | საქართველოს ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები | არჩევითი | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | შესავალი ტურიზმსა და მასპინძლობის მენეჯმენტში | | | | | | | 5 | | მ. ღვინჯილია |
| 7 | შიდა აუდიტი | არჩევითი | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | შესავალი ფინანსური აღრიცხვაში | | | | 5 | | | | | ლ. საბაური |
| 8 | სტრატეგიული მენეჯმენტის საფუძვლები | არჩევითი | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | მენეჯმენტის საფუძვლები | | | | 5 | | | | | გ. ღაღანიძე;<br>ბ. რამიშვილი |

| | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | აგროტურიზმი | არჩევითი | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | შესავალი ტურიზმსა და მასპინძლობის მენეჯმენტში | | | | | | | 5 | | ვ. არღუთაშვილი |
| 10 | კროს-კულტურული მენეჯმენტი | არჩევითი | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | წინაპირობის გარეშე | | | | | | | 5 | | ნ. ფარესაშვილი |
| 11 | ტურის გამყოლის (გიდის) მომსახურება | არჩევითი | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | წინაპირობის გარეშე | | | | | | | 5 | | ნ. კაციტაძე<br>მ. ალადაშვილი |
| 12 | ღვინის ტურიზმი | არჩევითი | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | შესავალი ტურიზმსა და მასპინძლობის მენეჯმენტში | | | | | | | 5 | | ნ. ბაკურაძე |
| 13 | უცხო ენა ტურიზმისთვის | არჩევითი | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | უცხო ენა 4 | | | | | | | 5 | | თსუ ენების ცენტრის ლექტორები |
| 14 | საერთაშორისო მენეჯმენტი (International Management) | არჩევითი | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | ინგლისური ენა B2 | | | | | | | 5 | | დ. ნარმანია;<br>ე. ჩოხელი;<br>დ. ნიჟარაძე |
| 15 | ლიდერობა (Leadership) | არჩევითი | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | ინგლისური ენა B2 | | | | | | | 5 | | ნ. ხარაძე;<br>ე. გულუა |
| **ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსები: სულ 120 კრედიტი.<br>მათ შორის სავალდებულო - 105 კრედიტი, არჩევითი მოდული - 15 კრედიტი** | | | | | | | | | **5** | **15** | **15** | **10** | **20** | **20** | **15** | **20** | |
| **ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები: სულ 105 კრედიტი** | | | | | | | | | **5** | **15** | **15** | **10** | **15** | **10** | **15** | **20** | |
| 1 | შესავალი ტურიზმსა და მასპინძლობის მენეჯმენტში | სავალდებულო | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | წინაპირობის გარეშე | 5 | | | | | | | | ნ. კაციტაძე |
| 2 | ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები | სავალდებულო | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | წინაპირობის გარეშე | | 5 | | | | | | | თ. შენგელია;<br>ქ. ჯღანჯგავა;<br>დ. კბილაშვილი |
| 3 | მარკეტინგის საფუძვლები | სავალდებულო | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | წინაპირობის გარეშე | | 5 | | | | | | | ნ. თოდუა |
| 4 | მენეჯმენტის საფუძვლები | სავალდებულო | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | წინაპირობის გარეშე | | 5 | | | | | | | დ. ნარმანია;<br>ე. ჩოხელი |
| 5 | ტურიზმისა და მასპინძლობის მარკეტინგი | სავალდებულო | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | მარკეტინგის საფუძვლები; შესავალი ტურიზმსა და მასპინძლობის მენეჯმენტში | | | 5 | | | | | | ნ.თოდუა<br>მ. სეთური |

| | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | შესავალი ფინანსურ აღრიცხვაში | სავალდებულო | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | წინაპირობის გარეშე | | | 5 | | | | | | ლ. საბაური |
| 7 | ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები | სავალდებულო | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | კალკულუსი ტურიზმისთვის; ეკონომიკის პრინციპები | | | | 5 | | | | | ხ. ბარბაქაძე |
| 8 | ადამიანური რესურსების მენეჯმენტი ტურიზმსა და მასპინძლობაში | სავალდებულო | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | შესავალი ტურიზმსა და მასპინძლობის მენეჯმენტში | | | | 5 | | | | | მ. ხოხობაია |
| 9 | ინფორმაციული სისტემები ტურიზმში | სავალდებულო | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | ინფორმატიკა ეკონომიკასა და ბიზნესში | | | 5 | | | | | | მ. ხოხობაია |
| 10 | ტურიზმის ეკონომიკა<br>The Economics of Tourism (Eng) | სავალდებულო | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | ეკონომიკის პრინციპები; შესავალი ტურიზმსა და მასპინძლობის მენეჯმენტში<br>უცხო ენა 4 (B2.2); ეკონომიკის პრინციპები; შესავალი ტურიზმსა და მასპინძლობის მენეჯმენტში | | | | | 5 | | | | მ. ხოხობაია |
| 11 | სტატისტიკა ტურიზმისთვის | სავალდებულო | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | კალკულუსი ტურიზმისთვის | | | | | | | 5 | | ს. გელაშვილი; ნ. აბესაძე |
| 12 | პროექტების მართვა ტურიზმში | სავალდებულო | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | შესავალი ტურიზმსა და მასპინძლობის მენეჯმენტში | | | | | | | 5 | | მ. ხოხობაია |
| 13 | სასტუმროს მართვა და ოპერირება<br>Hotel management and operation (Eng.) | სავალდებულო | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | შესავალი ტურიზმსა და მასპინძლობის მენეჯმენტში<br>უცხო ენა 4 (B2.2); შესავალი ტურიზმსა და მასპინძლობის მენეჯმენტში | | | | | | 5 | | | ნ. კაციტაძე |
| 14 | ტურიზმის სამართალი | სავალდებულო | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | შესავალი ტურიზმსა და მასპინძლობის მენეჯმენტში | | | | | | | | 5 | გ. კიკილაშვილი |
| 15 | უსაფრთხოება ტურიზმში | სავალდებულო | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | შესავალი ტურიზმსა და მასპინძლობის მენეჯმენტში | | | | | | | 5 | | ვ. არღუთაშვილი |
| 16 | საერთაშორისო ტურიზმის საფუძვლები | სავალდებულო | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | შესავალი ტურიზმსა და მასპინძლობის მენეჯმენტში | | | | | 5 | | | | ვ. არღუთაშვილი; მ. ხოხობაია |
| 17 | ეკოტურიზმი | სავალდებულო | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | შესავალი ტურიზმსა და მასპინძლობის მენეჯმენტში | | | | | 5 | | | | მ. ხუსკივაძე |

| | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18 | კულტურული ტურიზმი | სავალდებულო | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | შესავალი ტურიზმსა და მასპინძლობის მენეჯმენტში | | | | | | 5 | | | მ. ალადაშვილი |
| 19 | MICE ტურიზმი | სავალდებულო | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | შესავალი ტურიზმსა და მასპინძლობის მენეჯმენტში | | | | | | | | 5 | ნ. კაციტაძე |
| 20 | პროფესიული პრაქტიკა | სავალდებულო | 5 | 90 | | 35 | 125 | პროგრამის სასწავლო კურსებში მინიმუმ 200 კრედიტის დაგროვება - მათ შორის,ერთ-ერთი არჩევითი მოდულის სასწავლო კურსების 15 კრედიტი. | | | | | | | | 5 | ნ. კაციტაძე;<br>ი. ხელაშვილი |
| 21 | გამოყენებითი კვლევითი ნაშრომი | სავალდებულო | 5 | 15 | | 110 | 125 | **არჩევის წინაპირობაა:** 200 კრედიტის დაგროვება (მათ შორის არჩევითი მოდულის 15 კრედიტი);<br>**ნაშრომის დაცვაზე დაშვების წინაპირობაა** პროგრამის ყველა სასწავლო კურსის ათვისება. | | | | | | | | 5 | ნ. კაციტაძე |
| **ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები: სულ 15კრედიტი<br>სასწავლო კურსები დაჯგუფებულია მოდულებად. სტუდენტი ირჩევს ერთ მათგანს ჩამოთვლილთაგან:** | | | | | | | | | | | | | **5** | **10** | | | |
| | **მოდული: ტურიზმის მენეჯმენტი** | | | | | | | | | | | | **5** | **10** | | | |
| 1 | ტურიზმის დაგეგმვა და მენეჯმენტი | სავალდებულო | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | წინაპირობის გარეშე | | | | | 5 | | | | ვ. არღუთაშვილი |
| 2 | ტურიზმი და ტრანსპორტის ინდუსტრია | სავალდებულო | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | შესავალი ტურიზმსა და მასპინძლობის მენეჯმენტში | | | | | | 5 | | | ნ. კაციტაძე |
| 3 | ტუროპერატორული ბიზნესი | სავალდებულო | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | შესავალი ტურიზმსა და მასპინძლობის მენეჯმენტში; ინფორმაციული სისტემები ტურიზმში | | | | | | 5 | | | ი. ხელაშვილი |
| | **მოდული: მასპინძლობის მენეჯმენტი** | | | | | | | | | | | | **5** | **10** | | | |
| 1 | საკვებითა და სასმელით მომსახურების მენეჯმენტი | სავალდებულო | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | შესავალი ტურიზმსა და მასპინძლობის მენეჯმენტში | | | | | 5 | | | | ნ. კაციტაძე;<br>ლ.კოჭლამაზაშვილი |

| | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | საოჯახო ბიზნესის მართვა ტურიზმსა და მასპინძლობაში[2] | სავალდებულო | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | წინაპირობის გარეშე | | | | | | 5 | | | ვ. არღუთაშვილი |
| 3 | კურორტის მენეჯმენტი | სავალდებულო | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | წინაპირობის გარეშე | | | | | | 5 | | | ნ. კაციტაძე;<br>ე. ბალიაშვილი |
| | **დამატებითი პროგრამა: სულ 60 კრედიტი**<br>***(სტუდენტი ირჩევს ნებისმიერ დამატებით პროგრამას)*** | | | | | | | | | | **10** | **10** | **10** | **10** | **10** | **10** | |
| | | | | | | | | **სულ:** | **30** | **30** | **30** | **30** | **30** | **30** | **30** | **30** | |

[2] სასწავლო კურსმა „საოჯახო ბიზნესის მართვა ტურიზმში“ შეიცვალა სახელწოდება და ამჟამად მისი სახელწოდებაა „საოჯახო ბიზნესის მართვა ტურიზმსა და მასპინძლობაში“. სტუდენტებს, ვისაც უკვე ნასწავლი აქვს სასწავლო კურსი „საოჯახო ბიზნესის მართვა ტურიზმში“ მათ არ უნდა აირჩიონ სასწავლო კურსი სახელწოდებით „საოჯახო ბიზნესის მართვა ტურიზმსა და მასპინძლობაში“, რადგან ეს ორი საგანი იდენტურია.

## ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა

## დამატებითი პროგრამა ეკონომიკისა და ბიზნეს ადმინისტრირების, ასევე სხვა ძირითადი სპეციალობის სტუდენტებისათვის

| № | სასწავლო კურსის სახელწოდება | სტატუსი | ECTS | სტუდენტის საათობრივი დატვირთვა | | | | სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა | სწავლების სემესტრი | | | | | | | | ავტორი / ავტორები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | საკონტაქტო | | დამოუკიდებელი | სულ | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | |
| | | | | ლექცია | სემინარი/ პრაქტიკული | | | | | | | | | | | | |
| 1 | შესავალი ტურიზმსა და მასპინძლობის მენეჯმენტში | სავალდებულო | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | წინაპირობის გარეშე | | | 5 | | | | | | ნ. კაციტაძე |
| 2 | ტურიზმის დაგეგმვა და მენეჯმენტი | სავალდებულო | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | წინაპირობის გარეშე | | | | 5 | | | | | ვ. არღუთაშვილი |
| 3 | კურორტის მენეჯმენტი | სავალდებულო | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | წინაპირობის გარეშე | | | | | 5 | | | | ნ. კაციტაძე<br>ე. ბალიაშვილი |
| 4 | საქართველოს ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები | სავალდებულო | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | შესავალი ტურიზმსა და მასპინძლობის მენეჯმენტში | | | 5 | | | | | | მ. ღვინჯილია |
| 5 | საკვებითა და სასმელით მომსახურების მენეჯმენტი | სავალდებულო | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | შესავალი ტურიზმსა და მასპინძლობის მენეჯმენტში | | | | 5 | | | | | ნ. კაციტაძე;<br>ლ.კოჭლამაზაშვილი |
| 6 | ტურიზმი და ტრანსპორტის ინდუსტრია | სავალდებულო | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | შესავალი ტურიზმსა და მასპინძლობის მენეჯმენტში | | | | | | | | 5 | ნ. კაციტაძე |
| 7 | საერთაშორისო ტურიზმის საფუძვლები | სავალდებულო | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | შესავალი ტურიზმსა და მასპინძლობის მენეჯმენტში | | | | | | 5 | | | ვ არღუთაშვილი<br>მ. ხოხობაია |
| 8 | კულტურული ტურიზმი | სავალდებულო | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | შესავალი ტურიზმსა და მასპინძლობის მენეჯმენტში | | | | | | | 5 | | მ. ალადაშვილი |
| 9 | სასტუმროს მართვა და ოპერირება | სავალდებულო | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | შესავალი ტურიზმსა და მასპინძლობის მენეჯმენტში | | | | | 5 | | | | ნ. კაციტაძე |
| 10 | ეკოტურიზმი | სავალდებულო | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | შესავალი ტურიზმსა და მასპინძლობის მენეჯმენტში | | | | | | 5 | | | მ.ხუსკივაძე |

| | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11 | საოჯახო ბიზნესის მართვა ტურიზმსა და მასპინძლობაში[3] | სავალდებულო | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | წინაპირობის გარეშე | | | | | | | 5 | | ვ არღუთაშვილი |
| 12 | აგროტურიზმი | არჩევითი | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | შესავალი ტურიზმსა და მასპინძლობის მენეჯმენტში | | | | | | | | 5 | ვ არღუთაშვილი |
| 13 | ტურის გამყოლის (გიდის) მომსახურება | არჩევითი | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | წინაპირობის გარეშე | | | | | | | | | ნ.კაციტაძე; მ. ალადაშვილი |
| 14 | MICE ტურიზმი | არჩევითი | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | შესავალი ტურიზმსა და მასპინძლობის მენეჯმენტში | | | | | | | | | ნ. კაციტაძე |
| 15 | ტუროპერატორული ბიზნესი | არჩევითი | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | შესავალი ტურიზმსა და მასპინძლობის მენეჯმენტში ინფორმაციული სისტემები ტურიზმში | | | | | | | | | ი. ხელაშვილი |
| | **დამატებითი სპეციალობის (Minor) სამი არჩევითი კურსიდან ასარჩევია ერთი.** **სულ:** | | | | | | | | | | **10** | **10** | **10** | **10** | **10** | **10** | |

პროგრამის ხელმძღვანელის / ხელმძღვანელების / კოორდინატორის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

პროგრამის ხელმძღვანელის / ხელმძღვანელების / კოორდინატორის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა _____

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

თარიღი _____ ფაკულტეტის ბეჭედი

[3] სასწავლო კურსმა „საოჯახო ბიზნესის მართვა ტურიზმში“ შეიცვალა სახელწოდება და ამჟამად მისი სახელწოდებაა „საოჯახო ბიზნესის მართვა ტურიზმსა და მასპინძლობაში“. სტუდენტებს, ვისაც უკვე ნასწავლი აქვს სასწავლო კურსი „საოჯახო ბიზნესის მართვა ტურიზმში“ მათ არ უნდა აირჩიონ სასწავლო კურსი სახელწოდებით „საოჯახო ბიზნესის მართვა ტურიზმსა და მასპინძლობაში“, რადგან ეს ორი საგანი იდენტურია.